– თუ არსებობს ზუსტი მონაცემი, რამდენი აღზრდილი, ბავშვი და აღზრდილია, ქვეყნის მასშტაბით?

– კანონის მიხედვით, ამას საქსტატი განსაზღვრავს, მუნიციპალიტეტების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მე ძველი მონაცემი მაქვს: დაახლოებით, 6 ათასამდე აღზრდილი, 600-მდე მეთოდისტი და 1300-მდე ბაღი. ჩვენი ძალისხმევით, ყველა მუნიციპალიტეტს დაეუფვანეთ მოთხოვნა და ახლა ინფორმაციის შეგროვების პროცესში ვართ.

– რა თქმა უნდა, 1300-მდე ბაღი ყველა მსურველს ვერ დააკმაყოფილებს. ეს, ალბათ მხოლოდ საჯარო ბაღებია?

– დიახ, ეს ინფორმაცია მხოლოდ საჯარო ბაღებს შეეხება. საქსტატი შეგვიპირდა, რომ დეკემბრის ბოლოსთვის მოგვანდის განახლებულ ინფორმაციას. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მიღებულ (ჯერჯერობით, 25-მა მუნიციპალიტეტმა გადმოგვიგ-

სკოლაშენი ალზრდა

ზაენა მონაცემები ინფორმაციასაც გავანალიზებთ და, ერთ თვეში, ხელთ გვექნება ზოგადი სტატისტიკური მონაცემები.

პროცესი დაიწყო, მთავარია ხელი შევუწყოთ სტანდარტების დანერგვას და მასწავლებლების გადამზადებას.

რადგან ეს სტანდარტი ეხება როგორც კერძო, ასევე საჯარო ბაღების აღმზრდელებს, ხომ არ იგეგმება, სკოლების ანალოგიურად, საჯარო და კერძო ბაღების ერთ საგანმანათლებლო სისტემაში გაერთიანება?

კერძო ბაღებისთვის სავალდებულოა, სტანდარტზე დაყრდნობით შეიმუშაონ თავიანთი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი. ავტორიტეტის ვერ გაივლიან, თუ არ ექნათ სათანადო სტანდარტებით გათვალისწინებული გარემო (მაგალითად, ეზო, ფანჯრებიანი ოთახი...), ასევე, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტზე დაყრდნობით მიღწეული შედეგები. ამდენად, თავისთავად, ერთიან საგანმანათლებლო სფეროში მოქცევა.

არის ინფორმაცია, რომ წელს, თბილისში, საჯარო ბაღებში, 2 000 ბავშვით მეტია სასკოლო მზაობის პროგრამაში. მონესრიგდა ბაღების საქმიანობა, ინფრასტრუქტურა, კვება და მშობლების მხრიდან ინტერესიც გაიზარდა. ხარისხთან ერთად მსურველთა რაოდენობა იმატა.

რით არის საინტერესო ახალი სტანდარტის შინაარსობრივი მხარე?

სტანდარტში განსაზღვრულია აღმზრდელ-პედაგოგის განათლება - სწავლის სფეროები, აკადემიური ხარისხები და სამუშაო გამოცდილება, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა საბავშვო ბაღებში აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობის დასაწყებად. განათლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები იყოფა ორ ნაწილად: საბავშვო ბაღებში დასაქმებული/სტანდარტის ამოქმედებიდან, 2024 წლის 1 სექტემბრამდე, დასასაქმებელი აღმზრდელ-პედაგოგის განათლება და 2024 წლის 1 სექტემბრიდან დასასაქმებელი აღმზრდელ-პედაგოგის განათლება.

განსხვავება 2024 წლის 1 სექტემბრამდე დასაქმებული/დასასაქმებელი და 2024 წლის 1 სექტემბრის შემდეგ დასასაქმებელი აღმზრდელ-პედაგოგისთვის შეთავაზებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მდგომარეობს იმაში, რომ 2024 წლის 1 სექტემბრამდე დასაქმებულ აღმზრდელ-პედაგოგს ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში, მაშინ როდესაც 2024 წლის 1 სექტემბრიდან დასასაქმებელ აღმზრდელ-პედაგოგს მოეთხოვება სკოლაშენი ალზრდას და განათლების სფეროში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა. ამასთან, 2024 წლის 1 სექტემბრამდე, დასაქმებულ/დასასაქმებელ აღმზრდელ-პედაგოგს შეიძლება ჰქონდეს ბაკალავრის ალზრდას-პედაგოგის პროფესიული

კვალიფიკაცია. 2024 წლის 1 სექტემბრიდან კი ბაკალავრის ალზრდას-პედაგოგის პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მფლობელს აღარ ექნება უფლება დასაქმდეს აღმზრდელ-პედაგოგად.

ზემოაღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ „ადრეული და სკოლაშენი ალზრდასა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, აღმზრდელ-პედაგოგს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია. დღეის მდგომარეობით, აღმზრდელ-პედაგოგი წარმოადგენს პროფესიული განათლების კვალიფიკაციას. სწორედ 2024 წლისათვის იგარაუდება, რომ უნდა გვეყავდეს აღმზრდელ-პედაგოგის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები. აღმზრდელ-პედაგოგის განათლებასთან დაკავშირებული საკითხის წარმოდგენილი სახით მონესრიგებით, ერთი მხრივ, დაცული იქნება საბავშვო ბაღებში აღმზრდელ-პედაგოგებად დასაქმებულ პირთა ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ, სისტემა არ დადგება აღმზრდელ-პედაგოგთა დეფიციტის წინაშე.

სიახლეა მუსიკის მასწავლებლის აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტი რა კვალიფიკაციას, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს.

ასევე სიახლეა ქართულის, როგორც მეორე ენის, აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოქმედ ბაღებს შეუძლიათ ჰყავდეთ ქართული ენის მასწავლებელი. სტანდარტით განსაზღვრულია ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც მას უნდა ჰქონდეს, რასაკვირველია, პირველ რიგში, ქართული ენის ცოდნა, ასევე - ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების, სათანადო მეთოდოლოგიის და ა.შ. ამასთან ერთად - ელემენტარული კომუნიკაციის დონე იმ ეროვნული უმცირესობის ენაზე, რომელ რეგიონშიც მდებარეობს ბაღი, რომ იოლი იყოს ბავშვებთან ურთიერთობა და შედეგადად სახელმწიფო ენის სწავლება. თუ გვინდა ეროვნული უმცირესობის ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში, აუცილებელია, აღზრდელებს ქართულის სწავლება ადრეული ასაკიდან დაეწყოს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების მიმართულება. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეს საკითხი, მეტწილად, მოგვარებულია, საბავშვო ბაღებში კი მწვავედ დგას. 12 წელია ინკლუზიური განათლებისკენ მივდივართ და დროა, საბავშვო ბაღშიც დაიწყო პროცესი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადრეული და სკოლაშენი განათლება. ამისათვის საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურა, სპეციალური სტანდარტები, რომელიც ინდივიდუალურად იმუშავებს ბავშვთან, ლოგოპედი, ფსიქოლოგი და სხვ.

ასე რომ, ახალი სტანდარტის დანერგვა ძალიან დიდი და შრომატევადი პროცესია, ძალიან მდიდარ ქვეყნებსაც ამისთ-

ვის წლები სჭირდება. მისი დამტკიცებით, უდავოდ, დიდი ნაბიჯი გადაიდგა. ნაბიჯ-ნაბიჯ ნავალთ წინ - ჯერ აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადება და ამ მასალის დანერგვა; ბავშვების რაოდენობის შემცირება ჯგუფებში; ზოგადად საზოგადოების ცნობიერების შეცვლა და კონკრეტულად - მშობლებისა და აღმზრდელ-პედაგოგების ბავშვთან დამოკიდებულების და ა.შ. თუ გვინდა, რომ სრულყოფილი პიროვნება გაგზარდოს და ცხოვრებისთვის მოვამზადოთ, საბავშვო ბაღიდან უნდა ვიზრუნოთ ამაზე. ბავშვის განვითარების ყველა პერიოდი მნიშვნელოვანია, სკოლაშენი - განსაკუთრებით ფაქიზი და მნიშვნელოვანია. ამიტომ ყოველმხრივი ინტერვენციაა საჭირო, რომ შედეგზე გავიფიქროთ და ხარისხი ამაღლდეს.

რომელი წელი მოინიშნა სტანდარტების სრულად დანერგვის ორიენტირად?

2018 წელს, პრაქტიკულად, ეს სტანდარტი ყველა ბაღში უნდა დანერგოს. ამავე წელს, სტატუსი მაქსიმალური რაოდენობის აღმზრდელს (პრაქტიკულად, რამდენი მსურველიც იქნება) უნდა მიენიჭოს. არ უნდა გახანგრძლივდეს პროცესი და ეროვნულ დონეზე უნდა წარიმართოს, მთელი ქვეყნის მასშტაბით. რა თქმა უნდა, დიდი ქალაქები ამას უფრო ადვილად გაუმკლავდებიან, მაგრამ სწორედ რეგიონებში, მაღალმთიან სოფლებში უნდა მოხდეს დამატებითი ინტერვენცია, რაც, ჩვენი რეკომენდაციებით, ისევე ადვილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა განახორციელონ.

კანონი გვავალდებულებს, 2020 წელს იმდენი ბაღი იყოს, რომ ბავშვების რაოდენობა ჯგუფებში კანონის შესაბამისად განისაზღვროს. ორიენტირი მაინც 2020 წელია, როდესაც გარდატეხა უნდა მოხდეს. პროცესი 2016 წლიდან დაიწყო, 2018-ში აღმზრდელები უკვე აღმზრდელ-პედაგოგები გახდებიან, 2020 წლისთვის ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა უნდა შემცირდეს კანონით განსაზღვრული რიცხობრივობით და ა.შ.

ხომ არ მიმდინარეობს მოლაპარაკება უმაღლესი სასწავლებლებთან, რომ ადრეული და სკოლაშენი განათლების პედაგოგის მიმართულება დაემატოს მათ ჩამონათვალს?

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უკვე მუშაობს საკვალიფიკაციო ჩარჩოზე, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლებში დააგზავნიან. ჩვენ 2018 წლიდან გვეგმავენ ამ სიახლის შეტანას, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლები როგორ წამოვლენ თანამშრომლობაზე და რამდენი მსურველი იქნება, ჯერ ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, ადრეული და სკოლაშენი განათლების აღმზრდელ-პედაგოგის საკვალიფიკაციო ჩარჩო იქმნება. პროფესიული სასწავლებლების მიმართულებით აღმზრდელის ჩარჩო დაკუმენტიც შემუშავებულია.

ესაუბრა ლალი თვალაბაიშვილი

პროფესიული განათლება

პროფესიული მომავლისთვის

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში, პროფესიული განათლების მეორე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „პროფესიული მომავლისთვის“ გაიმართა.

მთავარმა მომხსენებელმა ჯეისონ გრეგორმა, საერთაშორისო საგანმანათლებლო კომპანიის „Pearson“ ბიზნესისა და განვითარების დირექტორმა, საერთაშორისო კვლევის შედეგები წარადგინა, რომელიც 2030 წლისთვის მოთხოვნად პროფესიებსა და მომავლის უნარ-ჩვევებს ასახავს. კვლევა ინოვაციების გლობალურ ფონდთან NESTA და ოქსფორდის მარტინის სკოლასთან ერთად ჩატარდა.

„კვლევა მომავლის პროფესიებს ეხება და მისი შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის და ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მომავალს ახლა გეგმავენ. კვლევაში გამოავლინა მომავლის ტენდენციები, რაც მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაეხმარებათ, რომ სწორად დაგვემონ მომავალი, დაეუფლონ მოთხოვნად პროფესიებს და მიაღწიონ წარმატებას“, - განაცხადა ჯეისონ გრეგორმა.

კონფერენციას 200-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა საქართველოდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. განსახილველ საკითხებს შორის ისეთი პირობითი ტემები იყო, როგორცაა: პროფესიული განათლების როლი დასაქმების ხელშეწყობაში, პროფესიული განათლების პოლიტიკა, კერძო სექტორის, დამსაქმებლების მონაწილეობის გაზრდა პროფესიული განათლებისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის და სხვ. პანელური დისკუსიის ნაწილი პროფესიული განათლების ბრენდინგის საკითხებსაც დაეთმო.

აუდიტორიას სიტყვით მიმართეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილმა, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მალრადემ, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია MCC-ის

კომპაქტის განხორციელების დეპარტამენტის მმართველმა დირექტორმა, კატერინა ნტეპიმ და სხვ.

პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ წარმოადგენს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის 16-მილიონიან (აშშ დოლარი) პროექტს, რომელიც დაფინანსებულია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებული მეორე - 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის ფარგლებში.

ქეთევან ნატრიაშვილი: „დღეს შრომის ბაზარი რეალურად გვეუბნება, რომ ვარდა არსებული მოთხოვნებისა, რომლებსაც უნდა პასუხობდეს პროფესიული განათლება, აუცილებელია მომავლის პროფესიებზე ფიქრი. ამ კუთხით, ძალიან ძლიერი საერთაშორისო პარტნიორები გვყავს, რომლებიც, მეორე კომპაქტის ფარგლებში, ჩართული არიან პროფესიული განათლების განვითარების პროცესში. სწორედ საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით ვითარდება და მუშავდება 45 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მომავლის პროფესიებზეა ორიენტირებული.“

მაგდა მალრადე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი: „დღეს კონფერენციაზე, ძირითადად, ესაუბრობენ შრომის ბაზრის 2030 წლის გამოწვევებზე, რა პირობითი ტემები და მოთხოვნები პროგრამები გვექნება. ეს ბევრად დაგვეხმარება ჩვენი მომავალი კარიერის დაგეგმვაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის და მოსწავლეებისთვის.“

საერთაშორისო კონფერენციის „პროფესიული მომავლისთვის“ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა საქართველოს განათლების სისტემისთვის მიღწეულ პროგრამის მნიშვნელობაზე. მისი თქმით, აშშ-ს მთავრობის წარმო-

მადგენლები, დამოუკიდებლობის 25-წლიანი ისტორიის მანძილზე, საქართველოს უმთავრესი პარტნიორები არიან. მან პროფესიული განათლების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „უკვე შემუშავებულია პროფესიული განათლების ახალი კანონპროექტი, რომელიც დაარეგულირებს განათლების სისტემის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი მზად ვართ, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი პროფესიული განათლების განვითარებას“, - აღნიშნა მან.

კონფერენციის ფარგლებში, პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გალა დაჯილდოება გაიმართა. დაჯილდოების ცერემონიაზე გამარჯვებულები 4 სხვადასხვა კატეგორიაში გამოვლინდნენ:

- წლის პროფესიული განათლების სტუდენტი;
- წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება;
- წლის პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი ორგანიზაცია.

პროფესიული განათლების პირველი ეროვნული ჯილდოს მფლობელები გახდნენ:

• წლის პროფესიული განათლების სტუდენტი: მთავარი პრიზის მფლობელი - ნიკოლოზ ნიკლაური, საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“;

• არჩილ გომეზიშვილი, პროფესიული კოლეჯი „სპექტრი“.

• წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი: მთავარი პრიზის მფლობელი - მანუელ ფაუნდეს-ბარანდა, პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“;

• წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება: მთავარი პრიზის მფლობელი - პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“.

• წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება: მთავარი პრიზის მფლობელი - პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“;

საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“.

• წლის პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი: მთავარი პრიზის მფლობელი - Adjara Group Hospitality, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კულინარიის აკადემიასთან თანამშრომლობისთვის.

BP საქართველო - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობისთვის.

დასაქმების ბაზარს ძალიან სჭირდება კარგად მომზადებული, კვალიფიციური სპეციალისტები, პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოც პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ყოველწლიურად, უფრო მეტი ადამიანი ირჩევს პროფესიულ განათლებას, თუმცა, ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.



სახელმძღვანელოები

ვაგრძელებთ საუბარს განათლების სამინისტროს მიერ იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილი პირველი კლასის საგანმანათლებლო რესურსის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოების ირგვლივ. განათლების სამინისტრომ საკვირველად ორი „დედა ენა“ შეარჩია. დღეს შეგომთავაზობთ მათ პოზიციას, ვინც ეს სახელმძღვანელოები საკონკურსოდ წარადგინა – ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი და გიორგი გოგობაშვილი, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების სახელით.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ თანამედროვე სკოლაში

„დედა ენა“, რომლის შექმნას იაკობ გოგებაშვილმა რამდენიმე ათეული წელი შეალია, საბოლოო სახე 1912 წლის გამოცემისათვის მიიღო (ანუ 36 წლის შემდეგ მისი პირველი გამოცემიდან) და მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაშიც გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში. მოგვიანებით იგი სხვა წიგნებით ჩანაცვლდა, თუმცა სამართლიანად მიჩნეულია, რომ მის ბაზაზე, გოგებაშვილის მეთოდის მიხედვით მომზადდა ვალერიან რამიშვილის „დედა ენა“, რომელიც ე.წ. საბჭოთა პერიოდში ათწლეულების მანძილზე წერა-კითხვის სწავლების ერთადერთი სახელმძღვანელო იყო საქართველოში. რაც შეეხება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“, იგი უცვლელი სახით დაბეჭდა ამ 35 წლის წინათ, მაგრამ სკოლაში პრაქტიკულად არ დანერგულა. მიზეზი, რის გამოც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სასწავლო პროცესში პირვანდელი სახით აღარ გამოიყენება, საესებოთ გასაგებია: ამ ასწლოვან წიგნში დღეს უკვე დაგროვდა ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც თანამედროვე ქართულ ენაში აღარ გვხვდება. გარდა ამისა, „დედა ენის“ შავ-თეთრი ილუსტრაციები და პოლიგრაფიული ხარისხი, რაც თავის დროზე მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით შესრულდა, ცხადია, აღარ აკმაყოფილებს თანამედროვე სახელმძღვანელოს მოთხოვნებს. ჩვენ გადაწყვეტიტვით, მოგვეზადებინა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ განახლებული გამოცემა, სადაც შენარჩუნებული იქნებოდა ტექსტუალური მასალა იმგვარად, რომ მცირედი რედაქტირება ჩაუტარდებოდა მხოლოდ იმ ენობრივ ფორმებს, რომლებიც თანამედროვე ქართულში შეცვლილია. ბუნებრივია, შავ-თეთრი ილუსტრაციები შეიცვლებოდა ფერადი ნახატებით ისე, რომ ილუსტრაციათა სტილისტიკა მეტისმეტად განსხვავებული არ ყოფილიყო. გარდა ამისა, იმისათვის, რომ წიგნი თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან (უპირველეს ყოვლისა კი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან) შესაბამისი ყოფილიყო, გაჩნდა დამატებითი გვერდებიც, სადაც კითხვის, წერის და ზეპირმეტყველების განმავითარებელი სავარჯიშოებია მოთავსებული. **საანბანო ნაწილს შესავალში აქვს წარწერა: შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. სახელმძღვანელოს გარეკანს კი აწერია: „დედა ენა“, იაკობ გოგებაშვილის მიხედვით.** ცნობარში აღნიშნულია: გამოსაცემად მოამზადეს – ნინო გორდელაძემ, გვანცა ჩხენკელმა. კონსულტანტი – ნინო რამიშვილი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

საკუთრივ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ საბოლოო, 1912 წლის გამოცემა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ, მომცრო ნაწილში (ქვესათაურით „ქართული ანბანი“) მოცემულია მხოლოდ საანბანო პერიოდის მასალა (გავიხსენოთ, რომ იმ დროს ამ წიგნს ერთი სასწავლო წელი ეთმობოდა); მეორე, უფრო მოზრდილ წიგნს (ქვესათაურით „ანბანის შემდგომ საკითხავი წიგნი“), რომელშიც მრავალი სხვადასხვა ტიპის ტექსტია ანბანის შემდგომი პერიოდისათვის, ორი წელი ეთმობოდა. „დედა ენის“ განახლებული გამოცემა ორი ნაწილისაგან შედგება (ეს ნაწილები ერთ წიგნშია თავმოყრილი): პირველ „ქართული ანბანი“ ჰქვია, ხოლო მეორეს – „დედა ენის კვალზე“. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოს გარეკანზე უნდა ეწეროს – „დედა ენა“, იაკობ გოგებაშვილის მიხედვით. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ ის შედგენილია იაკობ გოგებაშვილის მიერ, ზედმიწევნით მიჰყვება გოგებაშვილის გამოცემას; კერძოდ, უცვლელია ასოების შემოტანის რიგი. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია. გოგებაშვილის „დედა ენა“ ხომ წერა-კითხვის შემსწავლელი წიგნია. სწორედ წერის თვალსაზრისით არის უნიკალური ასოთა ასეთი თანმიმდევრობა: გოგებაშვილს ჩინებულად აქვს დაცული პრინციპი – მარტივიდან რთულსაკენ, ყოველი მომდევნო ასო მოხაზულობას აადვილებს წინას ცოდნა. ძირითადად შენარჩუნებულია აგრეთვე: მთავარი სიტყვა, რითაც იხსნება ახალი ასო-ბგერა; სიტყვები და ფრაზები, რომლებიც კითხვაში სავარჯიშოდაა განკუთვნილი; გვერდის ბოლოში მოცემული ასოებისა და სიტყვების გამოწერის ნიმუშები. აქ შეტანილი ყველა ცვლილება თანამედროვე ბავშვის ინტერესს ექვემდებარება. სახელმძღვანელოს მეორე ნაწილშიც უმთავრესად იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“ აღებული ტექსტებია. აქაც ტექსტებში ჩატარებულია აუცილებელი სარედაქციო ცვლილებები. არსებითი განსხვავება მხოლოდ სავარჯიშოებშია. ტექსტები, რომლებიც ვერ დაეცა პირველკლასელთათვის განკუთვნილ წიგნში, გადავა მეორე კლასის სახელმძღვანელოში, ხოლო მოზრდილი მოცულობის შემცვენი ტექსტების ნაწილი მე-3 და მე-4 კლასების წიგნებშიც მოხდება. იმისათვის, რომ „დედა ენა“ თანამედროვე მოთხოვნებთან სრულად შესაბამისი იყოს, ბუნებრივია, საკმარისი არაა მხოლოდ სარედაქციო ცვლილებები მოსწავლისათვის განკუთვნილ წიგნში – საჭირო გახდა კიდევ რამდენიმე კომპონენტის

დამატება. ესენია, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლისათვის განკუთვნილი მეთოდური სახელმძღვანელო (ანუ მასწავლებლის წიგნი) და ორი დამატებითი რვეული, ამათგან ერთი დედნის ფუნქციას ასრულებს და დართული აქვს საწერი ბაღე წიგნში მოცემული გადასაწერი დავალებებისათვის, ცხადია, მასაც ერთვის კომენტარი – „შედეგნილია იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“; მეორე რვეული კი უშუალო კავშირშია მოსწავლის წიგნთან, მასში წარმოდგენილია დამატებითი სავარჯიშოები. ეს რვეული შედგენილია თანამედროვე პედაგოგიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით და განკუთვნილია მასწავლებლის ხელმძღვანელობით კლასში სამუშაოდ. რვეულის ქვედა ნაწილში მოთავსებულია გოგებაშვილისეული ბაღე (მისი ზომები აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა 1912 წლის გამოცემას) და ამ ბაღეში გამოსაწერი სხვადასხვა ელემენტები. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ 1912 წლის გამოცემაში ბაღის ხაზები შავ ფონზე თეთრად მოჩანს, განახლებულ გამოცემაში კი – თეთრ ფონზე ლურჯად. გარდა ამისა, საგანგებოდ გამოუქვეყნდა მთავარი ხაზი, შემდგომში ე.წ. ცალხაზიანი რვეულის ღერძი. იწყება ყველაზე მარტივი ელემენტით (მოკლე ვერტიკალური ხაზი ბაღის შუაში) და თანდათანობით რთულდება. უკვე ას ნელზე მეტია, რაც საქართველოში იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილია „დედა ენა“ პატარა მკითხველისათვის მშობლიური ენის შესასწავლად. ეს უნიკალური წიგნი იმსახურებს, რომ ტრადიცია გაგრძელდეს. ამ შემკვიდრეობის შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივად, რადგან ქვეყნის კულტურულ წარსულს წარმოაჩენს. სწორედ ამიტომ მიენიჭა გოგებაშვილის „დედა ენის“ შედგენის მეთოდს **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი.** რაც უფრო სწრაფად მიდის წინ ცხოვრება, სახელმძღვანელო მით უფრო მალე ბერდება, ამიტომ ის უმდვიე განახლებას მოითხოვს. თვითონ იაკობ გოგებაშვილიც განუწყვეტლივ ხვდნდა თავის „დედა ენას“. გოგებაშვილის შემდეგაც, ბუნებრივია, ამ წიგნში ცვლილებები მოხდა და კვლავაც მოხდება, მაგრამ უცვლელი უნდა დარჩეს მისი აგების მეცნიერული პრინციპი, ასოთა სწავლების თანმიმდევრობა, სწავლების მეთოდიცა, მოკლედ რომ ვთქვათ, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს უნიკალურობა. ამასთან, ბავშვისთვის შესაბამისი აღმოჩენა იქნება ის ფაქტი, რომ მისი ოჯახის უფროსი წევრებიც ამავე წიგნით სწავლობდნენ, მათაც იცინ, უყვართ და ახსოვთ გოგებაშვილის „აი ია“ და „დედა ენა“. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით ჩვენ მიერ შედგენილმა სახელმძღვანელომ 2017 წლის 20 აგვისტოს მოიხილა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შექმნილი სპეციალური კომისიის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის დასკვნა, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ იგი შესაბამისობაშია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ძეგლთან – იაკობ გოგებაშვილის „დედა ენასთან“, მისი შედგენის მეთოდთან.

ჩვენი პოზიცია ასეთია: იაკობ გოგებაშვილის სახელი, ბუნებრივია, მუდამ უნდა ამშვენებდეს წიგნს, რომელიც მის სიცოცხლეშივე გამოიცა და ჩვენი კულტურის განძია, ხოლო ყველა შემდგომში შექმნილ სახელმძღვანელოს, რომელიც ერთგულად ინარჩუნებს „დედა ენას“, მისი შექმნის პრინციპებს, თუმცა ითვალისწინებს ეპოქასა და თანამედროვე მოსწავლის ინტერესებს და სათანადო ცვლილებებს ასახავს, შეესაბამება სატიტულო გვერდი წარწერით: „დედა ენა“, იაკობ გოგებაშვილის მიხედვით. ასეთი მიდგომა დაგვიცავს, არ გარდნდეს გოგებაშვილის სახელის ქვეშ სხვადასხვა ვერსია, არ შეილახოს მისი უნიკალური გამოცემის თავისთავადობა. გოგებაშვილის წიგნები თავისთავადი სახით მუდამ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი; საქართველოში ყველა ოჯახს უნდა შეეძლოს მისი პირვანდელი და ნამდვილი „სურნელის“ შეგრძნება, მიუხედავად იმისა, რომელი ალტერნატიული გრიფირებული სახელმძღვანელოთი შეისწავლიან დღეს წერა-კითხვას ბავშვები ამ ოჯახებიდან.

„დედაენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილია!

ჩვენ ხელთა გვაქვს გაზეთ „ახალი განათლება“ პუბლიკაცია (26. X. 2017) „იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა – მარად ახალი გამოწვევა“. სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა ეწირება კერძო ინტერესებს... პუბლიკაციაში დასმული მთავარი კითხვა ეს არის: „რა დაენეროს იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილ „დედაენას“ გარეკანზე: ავტორი – იაკობ გოგებაშვილი თუ „შედეგნილია იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“? ცხადია, განსხვავება დიდია: პირველი ვარიანტი აღიარებს, რომ „დედაენის“ ავტორი არის იაკობ გოგებაშვილი, ხოლო მეორე ვარიანტი მიხედვით იაკობ გოგებაშვილი არ არის „დედაენის“ ავტორი... პრაქტიკულად ასეც მიაჩნიათ: დღეს სკოლაში „მიხედვით“ შედგენილი ორი „დედაენაა“; განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოთა ნუსხაში ერთი „დედაენის“ ავტორებად ნ. გორდელაძე და გ. ჩხენკელი მოიხსენიება, მეორის ავტორებად – ნ. და ე. მაღლაკელიძეები; ი. გოგებაშვილის, როგორც ავტორის, ხსენებაც არაა ოფიციალურ ნუსხაში...

მოდით, კითხვები ასე დავსვათ: ვინ არის ი. გოგებაშვილი და რა უფლებები აქვთ „დედაენის“ გამომცემლებს? რას მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი და როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ამ ძეგლისადმი? ვინ უნდა დაიცვას ძეგლის ინტერესი და როგორ დავიცვათ ძეგლი ხელყოფისაგან?

ვისაუბრებთ იმის შესახებ, რაც არაერთგზის თქმულა და დანერგა, რის მიხედვითაც მიენიჭა ძეგლის სტატუსი „დედაენას“...

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა „დედაენას“ – საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს“. როცა მეთოდზე ვსაუბრობთ, უპირველესად არსებითია ის, რით ვინყვებთ ანბანის სწავლებას. პირველ გაკვეთილად „ია. აი ია“ – ესაა ქართული კულტურის ისტორიაში უდიდესი აღმოჩენა, იაკობისეული ეპოქალური მიგნება. „დედაენამდე“ (და მერეც) ქართულ სინამდვილეში ათზე მეტი საანბანე სახელმძღვანელო იყო, რომელთაც კონკურენცია ვერ გაუწიეს იაკობის ქმნილებას; სწორედ იაკობისეულმა დასაწყისმა მიანიჭა ამ მეთოდს შეუცვლელის სტატუსი. „ია. აი ია“ – თი დაწყება ნებისმიერი საანბანე წიგნისა უკვე „იაკობ გოგებაშვილია“ და არა „მიხედვით შედგენილი“...

ძეგლად ქცეული მეთოდის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ისაა, მეორე გაკვეთილიდან როგორი თანმიმდევრობით ისწავლება ქართული ანბანი. იაკობი განმარტავს და ასაბუთებს, რატომ შეირჩა ასეთი თანმიმდევრობა; მაგ., „ა“ რატომ უსწრებს „ვ“-ს: არ შეიძლება მათი ადგილების გაცვლა (თავის ოპონენტებს უხსნის), „ჯერ იმიტომ, რომ მასვე გაეუბნებოდა გენეტიური მეთოდი, რადგანაც რთული ასო წინ მოექცევა უფრო მარტივსა, რომელიც პირველის ელემენტს შეადგენს (იგულისხმება გრაფიკულად – გ.გ.), მერმე იმიტომ, კ მკაფიოდ გამოთქმისათვის ბევრად ადვილია ვ-ზე და ადვილადვე უერთდება, უკავშირდება ყოველს გვარს ასოსა, კითხვის პროცესს აადვილებს“. სხვა შემთხვევაში: ხ უსწრებს ს-ს. თითქოს ს უფრო მარტივია ხ-ზე, მაგრამ: „ხ მარჯვნივ ნახევარ რგოლით თავდება; ასო ს-ს კი მარჯვნივ მრუდვით რკალი აქვს, – და რადგან რგოლის წერა უფრო ადვილია მრუდვით რკალზე, ამიტომ ხ უფრო ადვილ საწერად უნდა ჩაითვალოს. ესეც რომ არ იყოს, ს-ს მეორე ადგილს ვერ მივსცემდით, რადგანაც იმისთანა ადვილ ასოსთან შეერთებით, როგორც არის ე, თქვენ ვერ შეადგენთ რეალურის, დასახატავი საგნის სახელსა, ხ-ს ხმარებით კი სდგება

იმისთანა მარჯვე სიტყვა, როგორც ხე“. როცა „მიხედვით“ შედგენილ სახელმძღვანელოში ეს თანმიმდევრობა უცვლელად მორღობა, გაუგებარია, რატომ არაა ეს სახელმძღვანელო გოგებაშვილისა და არის სხვა ავტორისა, ანუ „მიხედვით შედგენილი“?

იაკობი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საანბანე სიტყვის შემდეგ მოცემული საკითხავი ტექსტის სტრუქტურას; პრინციპი ესაა: მარტივიდან რთულსაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ. ამიტომ ჯერ თითო სიტყვაა მოცემული, მერე ფრაზები – ორსიტყვიანი, სამსიტყვიანი და ა.შ. სამწუხაროდ, „მიხედვით“ შედგენილ „დედაენებში“ ეს პრინციპიც ირღვევა, რაც ხელყოფაა ეროვნული ძეგლისა. ცვლილება ხშირად თვითმიზნურია: „ავტორობის“ ინტერესი ამგვარი ცვლილებისაკენ უბიძგებს მათ... მაგალითად, ერთ-ერთ „მიხედვით დედაენაში“ მეორე გაკვეთილში სიტყვათა იაკობისეული თანმიმდევრობა (ათი. თითა. თათი. თითი) ასე გადალაგდა – თითი. თათი. თითა. ათი. არადა იაკობი განმარტავდა: „აქ ყოველი შემდეგი სიტყვა, გასაადვილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარცვლით, რომლითაც თავდება წინა სიტყვა“... ცვლილების ინტერესმა იაკობის პრინციპი დაარღვია... ისევე ძეგლის ხელყოფა...

სიტყვამ მოიტანა და ცვლილების აუცილებლობაზეც ვისაუბრებთ ქვემოთ. ახლა ის ვთქვათ, რომ იაკობი იმასაც აქცევდა ყურადღებას, საკითხავ ტექსტში რამდენჯერ მეორდება შესასწავლი ასო, რამდენჯერ – წინა გაკვეთილზე შესწავლილი ასო, რამდენჯერ იმის წინაზე და ა.შ... და კიდევ: „ყოველი ახალი სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს გამეორებული შემდეგ გაკვეთილებში რამდენჯერმე, რათა ღრმად ჩაეხეჭდოს ბავშვს მესხიერებაში“. ასეა დაბალანსებული მთელი საანბანე წიგნი..... ესეც ძეგლადქცეული მეთოდის შემადგენელი ნაწილია... სამწუხაროდ, ცვლილების თვითმიზნურმა სურვილმა „მიხედვით დედაენებში“ შეიწირა ეს პრინციპიც...

სასვენი ნიშნები? დიახ, საანბანე ნაწილში პრინციპული სასვენი ნიშნებია საკითხიც... აქაც ვცოდავთ...

„ახალი განათლებაში“ ჟურნალისტი კითხვას უსვამს რესპონდენტს: „იქნება თუ არა გამართლებული „დედაენის“ უცვლელი სახით შეტანა სკოლაში“? რესპონდენტის (ქ-ნი თ. ჯაყელის) პასუხი ერთმნიშვნელოვანია: „გოგებაშვილის „დედაენის“ უცვლელი სახით შეტანა გარკვეულ უხერხულობას რომ გამოიწვევს, ალბათ, ამაზე არავინ დავობს“... რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ რა უნდა შეიცვალოს და რით, ეს უკვე პრობლემაა. ჯერ ის ვთქვათ, იაკობის პრინციპული მოთხოვნა ის იყო, რომ „დედაენა“ „არ უნდა მოკლებოდა გაუკეთებებს!“! თავის ანდერძში კატეგორიულად ითხოვდა წერა-კითხვის საზოგადოებისგან, ვისაც დაუტოვა საპატრონოდ „დედაენა“, აუცილებლად შეეტანათ საჭირო ცვლილება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ამ ცვლილებას დაეთანხმებოდა საზოგადოების გამგეობის სამი მეოთხედი... ანუ, გამომცემელს ინდივიდუალური თვითნებური ცვლილება ეკრძალება ი. გოგებაშვილის ნებით...

იაკობის მოთხოვნით, უპირველესად ცვლილება უნდა შეეხოს „დედაენის“ ენობრივ სახეს – ტექსტები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს თანამედროვე ქართული ენის ნორმებთან; ასევე, ლექსიკა უნდა შეიცვალოს (განიტვირთოს) იაკობისადროინდელი დიალექტური თუ არაქართული სიტყვებისაგან... ამგვარი ცვლილებები რედაქციული ცვლილებებია და ესეც პრინციპია იაკობისა. ანუ: ანბანის სწავლების იაკობისეული მეთოდი ითვალისწინებს სისტემატურ აუცილებელ „გაუკეთებებს“ სახელმძღვანელოსი... ოღონდ ეს არ უნდა იყოს ცვლილება ცვლილებისათვის. მაგალითად, ერთ-ერთ

„მიხედვით დედაენაში“ მესამე გაკვეთილზე „საათის“ ნაცვლად შემოტანილია „თასი“. რატომ? გაუგებარია. იაკობის პრინციპით, ნახატსა და სიტყვას შორის უნდა იყოს ზუსტი შესაბამისობა („სურათის შემწობით ბავშვი ნახევარს ცოდნას სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას – გარკვეულად, არასრულს სახეს საგნისას – სრულ სახედ“). სურათს რომ ნახავს ბავშვი, ის ზუსტად უნდა მიხედეს, რა წერია სურათის ქვეშ. აქ რა ხდება? თასის შემთხვევაში ნახატის მიხედვით ბავშვმა შეიძლება თქვას, ესააო ჯამი, სასმისი, თასი... ეს უკვე დარღვევაა იაკობის პრინციპისა. სხვა მაგალითი: მეორე „მიხედვით დედაენაში“ „მაშა“ შეიცვალა „შემით“. რატომ? ბავშვმა არ იცის მაშა რა არისო. არადა, სადაც შემაა, იქ მაშაც არის... ესაა სწორედ ცვლილება ცვლილებისათვის, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება ი. გოგებაშვილის მეთოდს; ეს არაა გაუმჯობესება, ეს ხელყოფაა ძეგლისა...

იაკობთან ბოლო შედეგ გაკვეთილზე საანბანე სიტყვის ნაცვლად ფრაზებია წარმოდგენილი (ორი ორსიტყვიანი და ხუთი სამსიტყვიანი), იმიტომ რომ, იაკობს მიაჩნდა: „ხალისსაც ძლიერ უმატებს გაკვეთილს ეს ფრაზა... ადამიანს ახალისებს არა განმარტობული საგნები, არამედ მათი კავშირი... ენის სიცოცხლე იწყება ფრაზებიდან და რამდენადაც ადრე გადახვალთ ფრაზებზე, იმდენად უფრო უკეთესია“. ერთ-ერთ „მიხედვით დედაენაში“ ფრაზები მოხსნეს... აი, ამგვარი ცვლილებაა შეუსაბამო ძეგლთან, ანუ იაკობისეულ პრინციპთან...

ცვლილება უნდა ემსახურებოდეს „დედაენის“ განმნენდას შეცდომებისაგან, რადგან „სახელმძღვანელო უნდა იყოს უშეცდომო“; უმნიშვნელო შეცდომა საანბანე სახელმძღვანელოსთვის არ არსებობს; ისევე საჭირო არასდროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში“ (ჩვენი მიერ მოყვანილი ყველა ციტატა ი. გოგებაშვილისაა). ერთი მარტივი მაგალითი სერიოზული ენობრივი შეცდომისა: იაკობისეულ ტექსტშია – „იას ყვავილი ასხია“; „მიხედვით დედაენაში“ აქ ერთყვავილიანი ია დახატეს... ეს სერიოზული გადახვევაა იაკობისეული მეთოდიდან...

ასე რომ, ცვლილების შეტანა „დედაენაში“ აუცილებელია, მაგრამ არა ასეთი ცვლილებებისა... ამ ტიპის უზუსტობებზე ხანგრძლივი საუბარი შეიძლება; ეს ვიკმაროთ დღეისათვის...

ჩვენი ღრმა რწმენით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამისმა კომისიამ „დედაენასთან“ მიმართებით თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა. მას საკონკურსოდ წარდგენილ სახელმძღვანელოთაგან ერთი უკეთესი უნდა შეერჩია და მისთვის უნდა მიეცა რეკომენდაცია; მას ყველა აქ ჩამოთვლილი პრინციპი (და სხვა) უნდა გაეთვალისწინებინა და დაეცვა ეროვნული ძეგლი ხელყოფისაგან; მან იცის (ყოველ შემთხვევაში უნდა სცოდნოდა), რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი შეჯიბრებითობის პრინციპს არ ექვემდებარება; უნდა დაეცვა ეროვნული ძეგლის ინტერესი და არა კონკრეტული გამომცემლობისა თუ „ავტორებისა“... მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენი „ძნელია“ ასეთი ობიექტური გადაწყვეტილების მიღება (მიზეზთა გამო...)... ამიტომ სხვა გამოსავალი უნდა მოიძებნოს; ჩვენი აზრით:

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის „დედაენის“ (საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის) დაცვის მიზნით უნდა შეიქმნეს სახელმწიფო კომისია, რომელიც დაკომპლექტდება პროფესიონალებით და მოამზადებს იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ „დედაენას“ სასწავლო პროცესისათვის (ანალიზისათვის გავითვალისწინოთ: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია)... ასე გადავარჩენთ და შევინარჩუნებთ უნიკალურ „დედაენას“. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვას ეკრძალება ალტერნატიული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენა; არის კიდევაც სკოლაში ასეთი სახელმძღვანელო (ჯგუფის ხელმძღვანელი ვ. როდონია), რომელიც პირველ გაკვეთილზე „ა“ ასოს „აკვარიუმითა“ და „აქლემით“ ასწავლის; ოღონდ ასეთ სახელმძღვანელოს არ უნდა ერქვას „დედაენა“, რადგან „დედაენა“ იაკობის საავტორო სახელია (კომპოზიტიც მისი შექმნილია საგანგებოდ სახელმძღვანელოსათვის)...

ერთი რამის გათვალისწინებაც გვმართებს: 2016 წლიდან „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ ნომინირებულია იუნესკოს ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში. ამ ნომინაციის მნიშვნელოვან ნაწილადაა მიჩნეული „დედაენა“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი! და: საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა ხორციელდება ორ დონეზე – ეროვნულზე და საერთაშორისოზე! კეთილი ვინებოთ და დავიცვათ „დედაენა“!..

მაგრამ საანბ სახელმწიფო ყოველივე ამის ორგანიზებას შეიძლება, ასე ვთქვათ:

„დედაენა“ – პირველი კლასის საანბანე სახელმძღვანელო – თუ იწყება „აი ია“-თი და შემდგომ გრძელდება გოგებაშვილისეული, ამგვარი სახელმძღვანელოს ავტორი არის იაკობ გოგებაშვილი არავითარი „გოგებაშვილის მიხედვით“!..

ცალკე თემაა ანბანის შემდგომ საკითხავი ნაწილი „დედაენისა“; მისი შედგენისას არსებითია არ დაირღვეს იაკობისეული ორი მთავარი პრინციპი: ეროვნულობა და ზნეობრიობა!..

გიორგი გომოლაშვილი

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარე



ერთად საქართველოსთვის

მიიწურა ოქროსფერი შემოდგომა, რომელსაც თან ახლავს ნაირფერი ფოთლების შრიალი, მივდივარ და თითქოს ჩამესმის მათი ხმა, ზოგი ძირს დაცემისას კენესის, ზოგი კი მოწყვეტისთანავე ფარფატიტ ეცემა მიწას. ქუჩაში კი მიწის სურნელი იგრძნობა, ალბათ ყველაფერს თავისი დრო აქვს. მე შემოდგომაც მიყვარს, თავისი თბილი და ცივი დღეებით, რომელიც ჩემს ფიქრებს კინოკადრებით დასდევს – ანმყო, წარსული და მომავალი დამდგარან ფიქრების ზღურბლებზე...

ჩემი ანმყო, წარსული და მომავალიც სწორედ მასწავლებლობას უკავშირდება, ჩემი ბავშვობის ოცნებაც ეს იყო – მახსოვს, როგორ ვიდებო მარტო ცარიელ ოთახში, წარმოვიდგენდი ჩემ ირგვლივ მოსწავლეებს და ოცნებაში ვუტარებდი გაკვეთილს, ხან ქართულის მასწავლებელი ვიყავი, ხან – მუსიკის. ამიტომ მიყვარდა საკუთარ თავთან მარტო ყოფნა... იქ ჩემს სამყაროში ვიყავი, რომელიც იდუმალი იყო სხვისთვის, ჩემთვის კი – ფერადი.

გავიდა წლები, რატომღაც პროფესიად უურნალობს ავირჩიე, რადგან მიყვარდა წერა, გრძობების ქალაქზე გადმოცემა. ხშირად არავეს ესმოდა ჩემი, ამიტომ ეს იყო საშუალება, სადაც ხსნას ვპოულობდი, ვწერდი და ამით ვიცლებოდი იმ ემოციებისგან, რომელიც მუდამ მშფოთვარეს მხდოდა. ბოლოს მაინც იქ მოვხვდი, სადაც ალბათ უნდა მოვხვდარიყავი – სოფელ საბირქენდის საჯარო სკოლის მასწავლებლად. აქ აზერბაიჯანელი მოსახლეობის გარემოცვაში ვცხოვრობ, რითაც უფრო შევისისხლბორცე ეს პროფესია, რადგან მხოლოდ ქართულს კი არა, საქართველოს შესახებაც ვასწავლი. მე დავუბრუნდი ფერად სამყაროს, სადაც ბავშვობიდან ვტრიალებდი... მივხვდი, რომ მასწავლებლობა დიდი ნიჭია, ის ან აქვს ადამიანს, ან – არა. ამ პროფესიამ სხვანაირად დამანახა სამყარო, მასწავლა ცხოვრება, სიკეთე, კეთილშობილება და უკეთესი ადამიანი გამხდარი. მასწავლებლობა მადლიცაა და უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე სამსახური ან საქმე, ყოველი დღის გათენება გიხარია, იმიტომ რომ, შენ იქ გელოდებიან, ზოგისთვის ფერადი სამყარო ხარ, ზოგისთვის სიახლე და მოლოდინი, სულ ვცდილობ, ეს მოლოდინები გავამართლო. ალბათ მთელი ცხოვრება არ მეყოფა იმისთვის, რომ „კარგი მასწავლებელი“ გავხდე, ყოველი დღე არა მხოლოდ ვასწავლი, არამედ მეც ვსწავლობ – ვუყურებ, ვაკვირდები, ვურთიერთობ მოსწავლეებთან და სწორედ ისინი მკარნახობენ, რა გავაკეთო მომდევნო დღეს, კვირას და ასე ვქმნით ჩვენს სამყაროს. იცით? სულ ვფიქრობ სხვადასხვა გზით დავანახო ცხოვრება, ვქმნი გარემოს, რომლითაც დაკვირვების, განცდის საშუალება ეძლევათ და ვფიქრობ, სწორედ ასე სწავლობენ ცუდისა და კარგის გარჩევას. ამ წლების განმავლობაში, ბევრი პროექტი გავგიჟებია და არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ არაფორმალური გარემო ბევრის მომცემია თითოეული მოსწავლისთვის და არა მხოლოდ მათთვის. მეც ბევრი რამ ვისწავლე.

ერთ დღესაც მეგობრის ზარი გაისმა ჩემს ტელეფონზე, გააჟღერა შემომთავაზა, ჩვენი სკოლა ჩართულიყო პროექტში „ერთად საქართველოსთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეების დამეგობრებას და, ერთობლივად, მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობას. ჩვენ დამეგობრებული გვყავს ორი ქართული სკოლა, ერთში კულტურული ღონისძიება ჩავატარეთ, ხოლო ფასანაურში ერთი კვირა ვაცხოვრეთ ჩვენი შემსწავლეები თანატოლები ოჯახებში. ბავშვებმა ერთმანეთს

კულტურა გაიცნეს, დამეგობრდნენ და დღემდე ახლო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. როცა გავიგე, რომ ეს პროექტიც ქართველი მოსწავლეებისა და სკოლების დამეგობრებას გულისხმობდა არაქართველენთან მოსწავლეებთან, რა თქმა უნდა, არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი, ეს ჩვენთვის სასიხარულო ამბავი იყო.

29 სექტემბერს, პროექტის ფარგლებში, ერთმანეთს შეხვდნენ დუშეთის სოფელ ლამოვანის და მჭადიჯურის, თბილისის მე-16 და საბირქენდის საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები. გაცნობითი ღონისძიება სახალისო და მრავალფეროვანი აღმოჩნდა, ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეების ერთობლივი შემოქმედება ორივე მხარისთვის საინტერესო იყო. წრეზე შეკრული მოსწავლეები, ორი საათის განმავლობაში, ერთ გუნდად იქცნენ. მასწავლებლებიც აქტიურად ჩავერთეთ. როცა არაფორმალურ გარემოში ვართ, ჩვენ შორის ზღვარი არ არსებობს, არც გაკვეთილებზე... ვფიქრობ, ურთიერთობა მნიშვნელოვანი ასპექტია როგორც სწავლის, ასევე სწავლების პროცესში. პოზიტიური ურთიერთობები სკოლის კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ეს არის იარაღი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში და ქმნის ხელსაყრელ პირობებს როგორც პიროვნული, ისე შემოქმედებითი ზრდისთვის.

გაცნობის შემდეგ, არქეოლოგიურ საველე სამუშაოებში მივიღეთ მონაწილეობა. გათხრების შესახებ ძალიან საინტერესო ინფორმაცია შევიტყვეთ. ჩემი მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ ყველა აქტივობაში, დასვენეს კითხვები. დავგვემთო, რომ მორიგ აქტივობას ჩვენმა სკოლამ გაუწიოს მასპინძლობა „ნოვრუზ ბაირამზე“, რაც ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს. სწორედ ასეთ გარემოში ვიგებ, რამდენად არიან მზად ჩემი მოსწავლეები საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. მახარებს, როცა ამ მზაობას ვხედავ. ეს დიდი ბედნიერებაა პედაგოგისთვის.

ჩვენ გვიყვარს საქართველო, ჩვენი ქვეყანა. ერთად, სწორედ საქართველოსთვის შევცვლით ცხოვრებას უკეთესობისკენ. მე ისევე აქ ვარ, გამძაფრებული შეგრძნებით, ახლის კეთების სურვილით შეპყრობილი. მე ისევე მე ვარ, დამოუკიდებელი, თავისუფალი ჩემს არჩევანში, ეს სწორი არჩევანია, ეს სხვანაირ ადამიანად გახდომის საშუალებაა, ამიტომ მიყვარს ჩემი სამყარო, რომელიც სავსეა ფერადი დღეებითა და მოგონებებით.

სალომე ქირია



ილია — 180

საჩხერიდან საბურჯანოში

„იქნებ არც ერთ მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ქვეყნისათვის, რამოდენა მნიშვნელობაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“ /იაკობ გოგებაშვილი/. ასე იყო ილიას სიცოცხლეში, ასეა დღესაც. ილია მუდამ ჩვენი „თანამდევნი, უკვდავი სული“ იქნება. საქართველოსთან ერთად, როგორც აკაკი იტყობდა, ილიაც უკვდავია.

საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არა ერთი მშვენიერი საღამო გავმართეთ ილია ჭავჭავაძის სულის უკვდავსაყოფად. აკაკის მშობლიური კუთხის ახალგაზრდობისათვის დაუვინყარი იყო ილიას 180 წლის იუბილეს აღნიშვნა მის მამულში, სადაც ღირსეულ მასპინძლობას სახლ-მუზეუმის დირექტორი, ბატონი ანდრო ბედუაძე გვინედა. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა, რომ ილიამ და აკაკიმ კარგად იცოდნენ ერთმანეთის ფასი. მათ მხრებზე იდგა მთელი საქართველო და ამიტომაც უფრო თბილად დიდებდნენ ასე გამორჩეულად ერთმანეთს. ყველას გვახსოვს ილიას შეფასება: „სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ!“ აკაკიმ ყვარელს ქართველთა ბეთლემი უწოდა და წინამურს – მეორე გოლგოთა. ამით ყველაფერია ნათქვამი.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, ბატონმა ბერიკა დეკანოიძემ ვრცლად და საინტერესოდ ილაპარაკა ილია ჭავჭავაძის როლზე საქართველოს წინაშე. ილია იყო კაცი, ვინც „XIX საუკუნის საქართველო კიდევ შექმნა, კიდევ მოიგონა და თავისი სისხლით კიდევ დაკირა“.

მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს ნაწყვეტები ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან. ილიას მამულში დიდხანს ისმოდა მარიამ დეკანოიძის, ქრისტინე ჭილაძის, ოთარ ივანაშვილის, ოთარ გიორგაძის, ნიკა სადუნიშვილის, ნიკა ზვიად და შოთა სამყურაშვილების, ტატო, ანანო და ნათია ტოგონიძეების, საბა აბრამიშვილის, ნინო ტყავაძის,

ეთერ ბოლოთაშვილის, სალომე შუკაკიძის, ვაჟა ფარქოსაძის, ლაშა კიპარიძის გულმჩამწვდომად წაკითხული პროზაული თუ პოეტური შედეგები.

დაბოლოს, მუზეუმის დირექტორმა ილიას იუბილეს ყველა მონაწილე საინტერესო ნივთებით დაგვასაჩუქრა. ასეთი გულმთბილი მიღებისა და ძალიან საჭირო, შინაარსიანი საუბრის შემდეგ, ბატონი ანდრო საჩხერეში მოვიწვიეთ, რათა მონაწილეობა მიიღოს ჩვენს პროექტში: „სულმნათო, მადლი შენს გამჩენს“, რომელიც, ვფიქრობთ, ღირსეულად წარმო-

ჩენს ამ ორი დიდი მამულიშვილის უანგარო, თავგანწირულ ღვაწლს სამშობლოს წინაშე.

ქართველი ხალხი ილიასა და აკაკის სიცოცხლეში არ აცილებდა ერთმანეთს და ახლაც, ილიას გარდაცვალებიდან 110 წლის შემდეგაც, ასე უნდა იყოს, რადგან ისინი მარად და ყველგან თანამდევნი, უკვდავი სულები არიან.

ნუნუ გომოლიძე

აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი





კულტურათა დიალოგი



კორეული „ლითონის“ ნიგნები და ქართული ხელნაწერები

მაკა ყიფიანი

კორეული კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოში სამხრეთ კორეის რესპუბლიკის საელჩოსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ორი უძველესი კულტურის დამწერლობის ისტორიის უნიკალური ნიმუშების გამოფენა გაიმართა, სადაც კორეული „ლითონის“ ნიგნები და ქართული ხელნაწერები იყო წარმოდგენილი. გამოფენის მიზანი იყო უძველესი და უდიდესი კულტურის მქონე ქვეყნების – კორეისა და საქართველოს, რომლებიც სრულიად განსხვავებული კულტურული ტრადიციის მატარებლები არიან, ნაბეჭდი ნიგნთა და ხელნაწერთა გამორჩეული ნიმუშების საზოგადოებისთვის წარდგენა და გაცნობა. დამთავალიერებელს საშუალება ჰქონდა, გაცნობოდა კორეული ლითონის ნიგნებისა და ქართული დამწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, გამოფენის ფარგლებში, კორეიდან საგანგებოდ ჩამოტანილი ტექნიკის დახმარებით, კორეული ნიგნის ბეჭდვის უძველეს ხელოვნებას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კორეის ჩონგჯუს ადრეული ნაბეჭდი ნიგნების მუზეუმში დაცული კორეული „ლითონის“ ნიგნები და შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერები:

- „ჯიკჯი“, დიდი ბუდისტური ბერების მოღვაწეობა ძენის შესახებ, ანთოლოგია (ასლი, მეორე ტომი), 1377 წელი; „ჯიკჯი“ (აღდგენილი, ლითონის მოძრავი შრიფტით ნაბეჭდი); 80 ათასი ტრიპიტაკა (სტრიპიტაკა კორეანა) ასლი, ხის დაფით ნაბეჭდი) – ბუდისტური ტექსტების კრებული; გუტენბერგის 42-სტრიქონიანი ბიბლია (ასლი); სიმღერები ათასობით მდინარეში მთვარის შუქის ანარეკლზე – ბუდას ბიოგრაფია. რესტავრირებული ლითონის შრიფტი 1447-1450; გორიოს დინასტიის დროინდელი ლითონის მოძრავი შრიფტი; „აღმოსავლეთის ქვეყნების სტანდარტული რითმები“ – სტანდარტული ჩინური იეროგლიფების კორეულად წარმოთქმის ლექსიკონი, რესტავრირებული მოძრავი ხისა და ლითონის შრიფტები; ლითონის მოძრავი შრიფტი (ქვიშის ყალიბებში ჩამოსხმული რკინა); ჩოსუნის დინასტიის დროინდელი ლითონის მოძრავი შრიფტი; „ჯიკჯის“ მსოფლიო მესხიერების რეესტრის სერტიფიკატი.
- თამარ მეფის კუთვნილი ვანის ოთხთავი, XII-XIII სს; ასტროლოგიური ტრაქტატი. 1188-1210 წწ.; ქართული ანბანი ლოცვებითურთ, დაბეჭდილი რომში, 1629 წელი; სულხან-საბა

ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ XVII ს.; ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფია“ XVII ს.; „ქართლის ცხოვრება“. 1633-1646 წწ. ბეჭდვის უძველესი ტექნოლოგიის ნიმუშები, VII საუკუნის, პირველი, ჩვენამდე სრულად მოღწეული ხელნაწერი – ხანმეტი ლექსიკონარი, შატბერდის მონასტერში გადაწერილი X საუკუნის ჯრუჭის სახარება – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ქართულ-იტალიური ლექსიკონი, დაბეჭდილი რომში, 1629 წელს – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

„თუ მედიტაციის გზით ადამიანის გულში ჩაიხედავ, მიხვდები, რომ ის ბუდას გულია“, ასე ითარგმნება მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი კორეული ნიგნის – „ჯიკჯის“ აბრევიატურა. კორეული „ლითონის“ ნიგნების დოკუმენტირებული ისტორია სათავეს 1377 წლიდან იღებს, გუტენბერგის უმნიშვნელოვანეს გამოგონებამდე 78 წლით ადრე, გორიოს დინასტიის მმართველობის დროს დაბეჭდილი ნიგნი, რომელსაც კორეულ ენაზე „ჯიკჯი“ ეწოდა, ბუდისტური დოკუმენტია, მოიცავს ამონარიდებს ბუდისტი ბერების ნაშრომებიდან. ის ორ ტომად დაიბეჭდა, პირველ ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია, ხოლო მეორე ნაწილი საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია. „ჯიკჯი“ მსოფლიოს უძველესი ნიგნია, რომელიც ლითონის ტიპოგრაფიული შრიფტით დაიბეჭდა. 2001 წლის სექტემბერში „ჯიკჯი“ იუნესკომ მსოფლიო მესხიერების რეესტრში შეიტანა, ხოლო 2004 წელს იუნესკოს მიერვე დასწესდა „ჯიკჯის პრინცი“.

ქართულ ხელნაწერ ტრადიციას 16-საუკუნოვანი ისტორია აქვს. ის თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მამუდელი დასავლური ცივილიზაციის კერებთან, ამ სახელოვნო განაპირობებდა საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ორიენტაცია. ქართული დამწერლობა გახდა ის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც ეროვნულ იდენტობას განაპირობებდა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მყარ საფუძველს ქმნიდა.

ქართულმა დამწერლობამ, თავისი განვითარების მანძილზე, სამი საფეხური განვლო: ასომთავრული (V-IX), ნუსხური (IX-XI) და მხედრული (X-XI). ისინი დღესაც თანაარსებობენ. ქართული დამწერლობის უძველესი დოკუმენტები – პალიმფესტები (V-VII) სასულიერო შინაარსისაა, მათ მონასტრებში ქმნიდნენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ჟანოზბრივად მრავალფეროვანია ქართული საერო მწერლობაც. 2011-2013 წლებში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი კოლექცია („ბი-

ზანტიური ეპოქის ქართული ხელნაწერები“ და „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები“) შევიდა მსოფლიო მესხიერების რეესტრში.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და კორეის რესპუბლიკის საელჩოს ერთობლივი გამოფენის ფარგლებში, ჩატარდა იონგჰო მუნისა და ჰვანგ სუნმის ლექცია თემაზე „მსოფლიო მესხიერების რეესტრი და კორეული ნაბეჭდი ნიგნი“. გამოფენის ფარგლებში, ლექციაზე წარმოდგენილი იყო ბეჭდვის უძველესი, კორეული ხელოვნებაც.

გამოფენა გახსნეს კორეის რესპუბლიკის საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა კიმ ინ შანიმ და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ. გამოფენას ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსისა და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

გიორგი კეკელიძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი: „ორი კულტურის შეხვედრა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სამხრეთ კორეის წარმომადგენლობას, ამ ფანტასტიკური გამოფენის წარმოდგენისთვის. მე ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, არამედ ადამიანი, რომელსაც აინტერესებს ნიგნი, როგორც ფენომენი, გარდა იმისა, რომ ალფრთოვანებული ვარ, გაცილებულიც გახლავართ. ჩვენ წინაშე წარმოდგენილია სრულიად ახალი გამოცდილება. უძველესი ნიგნები, ფორმები და ფორმატები, რაც ქართველი დამთავალიერებისთვის, სრულიად უცხოა. გარდა ესთეტიკური სიამოვნებისა, ჩვენ წინ გადაიშალა დიდი ინფორმაციული ველი ისეთი უცხო კულტურის შესახებ, როგორც კორეულია. დამეთანხმებით ალბათ, რომ დამთავალიერებელი, მეცნიერი თუ უბრალოდ დაინტერესებული ადამიანი, დღევანდელი გამოფენიდან არა მხოლოდ კმაყოფილი, არამედ გაოცებული ნავა. ამავდროულად, ძალიან მიხარია, რომ სამხრეთ კორეის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ნიგნის მუზეუმისთვის, რომელიც სულ მალე გაიხსნება, უნიკალური ნიგნები გადმოგვცეს“.

მარიამ ჯაფარიძე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე: „ვეფხორი, დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილი პარალელური ისტორიები, ორი უძველესი ცივილიზაციის ბიოგრაფიები, რომელიც გადატანილია ხელნაწერებსა თუ ნიგნებში, მართლაც უნიკალურია. ჩვენ გვეკონტაქტა ძალიან საინტერესო შეხვედრა კორეის საელჩოს ხელმძღვანელობასთან, მათ თანამშრომლებთან, ასევე კორეის ეროვნული ასამბლეის წევრებთან – ჩვენს კოლეგებთან. ვისაუბრეთ იმ მიმართულებებზე, რომელიც განათლების, მეცნიერების და კულტურის კუთხით შეიძლება გაიშალოს და გაფართოვდეს ორ სახელმწიფოს შორის. ვამაყობთ საქართველოს ისტორიით და იმ ხელნაწერებით, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში და სხვადასხვა მუზეუმში ინახება. ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, რომ ახალი ფორმატი, კულტურული ურთიერთობების არაჩვეულებრივი სიმბოლიკა, რომელიც დღევანდელ გამოფენას ახლდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდება“.

თამარ უდვინტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი: „ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გვესტუმრა ბატონი კიმ ინ შანი, (დროებითი რწმუნებული საქართველოში),

რომელიც დაინტერესდა ვახუშტი ბაგრატიონის ხელნაწერი რუკით. მაშინ შევითავაზეთ, რომ გვეთანამშრომლა და გამოგვეფინა კორეული და ქართული ხელნაწერები. მან გვითხრა, რომ კორეაში არ აქვთ ხელნაწერი ნიგნის კულტურა და მათთვის უფრო მნიშვნელოვანი ნაბეჭდი ნიგნების კულტურაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავეინტერესდით და სწორედ ასე დაიბადა გამოფენის იდეა. გამოფენაზე ერთობლივად წარმოვადგინეთ კორეული ნაბეჭდი ნიგნი და ქართული ხელნაწერები. ამ ტიპის გამოფენა საქართველოში პირველად მოეწყო, რომელიც გვიჩვენებს კორეულ ნაბეჭდი ნიგნებს და ქართულ ხელნაწერ კულტურას, ორ განსხვავებულ კულტურულ არეალს და ამ კულტურული არეალის ორ განსხვავებულ გამოვლინებას. საქართველოში ალბათ ბევრმა არ იცის და ჩვენთვისაც სიახლე იყო, როდესაც გავიგეთ, რომ პირველი ნიგნი, გუტენბერგის ბიბლიამდე 78 წლით ადრე, კორეაში დაბეჭდილია. კორეული „ლითონის“ ნიგნების დოკუმენტირებული ისტორია სათავეს 1377 წლიდან იღებს. კორეაში, გორიოს დინასტიის მმართველობის დროს, შეიმუშავეს ნიგნის ბეჭდვის ტექნოლოგია, დაიბეჭდა ნიგნი, რომელსაც კორეულ ენაზე „ჯიკჯი“ ეწოდა. „ჯიკჯი“ მსოფლიოს უძველესი ნიგნია, რომელიც ლითონის ტიპოგრაფიული შრიფტით დაიბეჭდა. ნიგნი კორეული ბუდისტური დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ამონარიდებს ბუდისტი ბერების ნაშრომებიდან“.

თინათინ ქარსანიძე, თავისუფალი უნივერსიტეტის აზიის და აფრიკის ინსტიტუტის დეკანი: „პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გამოფენის ორგანიზატორებს ასეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიების მოწყობისთვის. აზიის და აფრიკის ინსტიტუტი ერთადერთი სასწავლებელია, სადაც სტუდენტებს კორეული ენის საბაკალავრო პროგრამას ვთავაზობთ, ასევე კორეული ენის კურსებს – უკვე 20 წელიწადია. მოდელი წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ოცნლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ძალიან დიდი ინტერესია კორეული ენის, კორეის ისტორიის, კულტურის და პოლიტიკის მიმართ. ყოველწლიურად უფრო მეტი სტუდენტი ეუფლება კორეულ ენას და კორეისტიკას აფრიკის და აზიის ინსტიტუტში, რასაც ხელს უწყობს საქართველოში კორეის რესპუბლიკის საელჩო, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს ინსტიტუტთან. გვაქვს ორნაირი მოდელი – მაინორი და მეიჯორი. ჩვენი სტუდენტები, რომლებიც ფლობენ კორეულ ენას, შეძლებენ არა მარტო დათავალიერონ გამოფენა, არამედ ნაიკითხონ წარმოდგენილი უნიკალური ნიმუშები, ასევე ისინი მონაწილეობას მიიღებენ ვორკშოპში – ორგანიზატორებისგან შეიტყობენ, როგორ მზადდებოდა კორეული ნიგნები, როგორ იყო მათი წაიკითხვისა და ავტობის პრინციპი. იმედი მაქვს, კორეული ენის ცოდნა დაეხმარება მათ კომუნიკაციაში. ძალიან კარგი შეგრძნებაა, როცა ხედავ, რომ შუასაუკუნეების ნიგნს ქართველი კორეულ ენაზე კითხულობს.“

კორეისტიკის სწავლების ნათელი მაგალითი, ის, რომ წელს, ჩვენი ინსტიტუტი მასპინძლობდა მთარგმნელს, რომელიც 10 წლის განმავლობაში კორეულად თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“, მას დახმარებას უწევდა ჩვენი კურსდამთავრებული რუსულად ფირცხალავა. ეს პირველი ქართული ნიგნია, რომელიც კორეულ ენაზე ითარგმნა. ერთი ჭკვიანი ადამიანის გამონათქვამი მახსენდება: „ნაწარმოებს, რომელსაც კითხულობენ, აქვს ანმყო და რომელსაც ხელახლა კითხულობენ, აქვს მიმავალი.“ მე ძალიან მიხარია, რომ დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილ უძველეს ნიგნებს მომავალი აქვს“.



ქართულად სსნილად უხმოვდა

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების „მტრები“ ფეხბურთის ენა – ერთი ტაიმი ანუ ერთი გაკვეთილი

ენის დიდ და მრავალფეროვან მექანიზმში ყოველთვის არის ე.წ. წერტილი საკითხები, რომელთა მოგვარებაც ისევე საჭიროა, როგორც არსებითი ხასიათის პრობლემებისა. თითქმის ყოველ გაკვეთილზე მესმის:

– მასწ., რამოდენიმეა სწორი თუ რამდენიმეა ფაქტიურად თუ ფაქტობრივად? ორჯერ თუ ორჯერ? ჩაქვრა თუ ჩაქრა? ვიცვამ თუ ვიცმევ? ვსვავ თუ ვსვამ?

მილიონჯერ ახსნილს კიდევ ერთხელ ვუხსნი, მაგრამ გონებაში ჩაჭედდის და ჩაკირულს მარტო მასწავლებელი ვერ შევლის. ბევრი „მტერი“ ჰყავს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, მაგრამ ყველაზე დიდი მტერი ტელევიზია, პრესა და საზოგადოებაა. ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის ყველაზე უფრო მძლავრი საშუალებაა დღესდღეობით და ძლიერ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების, ხალხის მეტყველებაზე. წინათ ხალხის მეტყველება იყო ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო სალიტერატურო ქართულისა, ამ გზით იცვებდა სამწერლო ენა ლექსიკურ მარაგს, მდიდრდებოდა ხატოვანი სიტყვა-თქმებითაც. ახლა პირიქით, ტელევიზია აყალიბებს, ქმნის ხალხის მეტყველებას, რომელსაც სულ უფრო მეტად ემჩნევა გაღარიბებისა და გაუსახურების ტენდენცია. ჟურნალისტიკის მეტყველება მაგალითია სხვებისთვის, განსაკუთრებით – ახალგაზრდობისთვის, მოზარდი თაობისთვის. სკოლაში, რომელშიც მე ვასწავლი, ბიჭები ჭარბობენ. ძალიან ხშირად უყურებენ ფეხბურთს (საინინალმდეგო არაფერი მაქვს), თუმცა მოსწავლეების გარდა, ფეხბურთს უყურებს მილიონობით თანამემამულე. განსაკუთრებით მაშინ, თუ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი იმართება. ახალგაზრდები კომენტატორების ფრაზებს იყენებენ ზეპირ მეტყველებაში. როგორ ვუშველოთ ამ სატკივარს? ერთადერთი ხსნა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილია. დღეს სწორედ ერთ-ერთ „მტერზე“ – ფეხბურთის კომენტატორზე ვისაუბრებ. ყველაზე ხშირად გაისმის – შეტევაში არიან... გადადიან შეტევაში. ეს რუსული კალკის გაუცნობიერებელი გამოყენებაა, გასაგები და მისაღები ფორმაა უტევეს ან შეუტია. გადაცემა გაუკეთა, ანუ ბურთი გადასცა.

მოსწავლეებს ვთავაზობ მცდარ ფორმებს და ვთხოვ, გაასწორონ სტილისტური ხარვეზები. მაგ.:

მარსელომ მარჯვენა ფლანგზე გააკეთა თამაშის აქცენტი შეცდომა – მარსელო მოედნის მარჯვენა ფრთაზე თამაშს ანიჭებს უპირატესობას (სწორია);

რონალდომ ბურთი შემოიყვანა აუტიდან (შეცდომა) – რონალდო გვერდითა ხაზიდან აწვდის... ან აუტიდან აწვდის (სწორია) (შესაძლოა ტერმინოლოგია არ შეცვალაოთ);

ბურთმა დასტოვა მოედანი (შეცდომა) – დატოვა; ჯარიმას შესარულეებენ მანჩესტერელები (შეცდომა) – საჯარიმოს დაარტყამენ მანჩესტერელები (სწორია);

კოლაროვი პასს უკეთებდა თავის პარტნიორს (შეცდომა) – კოლაროვი ბურთს აწვდის თავის პარტნიორს (სწორია); გადაწყვიტა გაეკეთებინა გადაცემა (შეცდომა) – გადაწყვიტა ბურთი გადაეცა (სწორია);

ეს მატჩი არ გაკეთებულა თბილისის ტელევიზიის მიერ (შეცდომა) – თბილისის ტელევიზიით მატჩი არ გადაუციათ

(სწორია); ნავასიმ ვერ მოახერხა ბურთის ხელეში დაფიქსირება (შეცდომა) – ნავასიმ ბურთი ვერ დაიჭირა (სწორია);

შეტევაში არიან მანჩესტერელები (შეცდომა) – უტევენ მანჩესტერელები (სწორია);

გადაცემა ერთი შეხებით გაუკეთა (შეცდომა) – ერთი შეხებით ჩაანოდა (სწორია);

თამაშის წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია (შეცდომა) – თამაშის წესები არ დარღვეულა (სწორია);

ბენზემამ მშვენიერად დაარტყა ან ოსტატურად დაარტყა, ან მშვენიერი დარტყმა (სწორია);

კორექტულ ბრძოლაში ტარდება ეს შეხვედრა (შეცდომა) – თამაში კორექტულად მიმდინარეობს (სწორია);

ფეხბურთელმა საკაცით დატოვა მოედანი (შეცდომა) – საკაცით გაიყვანეს მოედნიდან (სწორია)

დაბლოს, კომენტატორის დამაგვირგვინებელი ფრაზა: „მოიშორა ბურთი თავისგან შორს და ბურთის იტანს რაშეორი. ნეტავი რაშეორს თუ იტანს ბურთი? – ბურთი გააქვს რაშეორს. ტერმინგენმა ბურთი არა მარტო მოიგერია, ხელში დაიჭირა კიდევ!“ – „ხელში დაიჭირა“, სრულიად ზედმეტია.

ასევე „საინტერესოა“ კომენტატორთა მარგალიტები, რომელთა შინაარსი გამოსაცნობია. მაგალითად:

როგორც ხშირად ხდება, გამარჯვებული ყოველთვის ერთი გუნდი გამოდის ხოლმე. როგორც ჩანს, შეცვლები არ ჩანს; ძალიან საინტერესოა, რომ ის ხუთი მცველი, რომლებიც შემადგენლობაში იყვნენ, ხუთივე დაცვაში თამაშობს;

როცა მესი არ თამაშობს, ბარსელონას რაღაც აკლია და ჩემი სუბიექტური აზრია, რომ ეს რაღაც სწორედ მესია; ტრეზეგეს თავზე ორთქლი ასდის. არა, ბოლი... უკაცრავად – ოხმივარეს.

გრონკიკაერმა ისე შეაშინა „რომა“, რომ ერთხელ გოლიც კი გაუტანა.

მთელი ღამის განმავლობაში არავინ დაუკავებიათ მთელს გერმანიაში, თუმცა დორტმუნდში სამასამდე პოლონელი და-აპატიმრეს.

ინიესტამ სკამიდან წითელი მიიღო და მოედანზე რომ ყოფილიყო, რას იზამდა!

მე შეგნებულად არ გეუბნებით ინტერის-სპორტინგის მატჩის ანგარიშს, რადგან ამ თამაშს მოგვიანებით იხილავთ ჩვენს ეთერში. და აი, ინტერმა გაუტანა სპორტ... უკაცრავად, ნამომცდა.

კარვახალიმ ისე ირბინა დღევანდელ მატჩში, რომ თავზე კვამლი ასდის.

სამწუხაროდ, მარკო ასენსიოს ჩვენ დღეს ვერ ვიხილავთ – მას წინა კიდურების ტრავმა აქვს.

ჩელსის კარში ბურთი, ალბათ, უბედური შემთხვევის შედეგად გავიდა.

კარი რომ ცოტა გვერდზე ყოფილიყო, შესანიშნავი იქნებოდა.

ჯოვანი დოს სანტოსი უნიჭიერესი ფეხბურთელია, მაგრამ არის ცალფეხა.

გერმანული ფეხბურთელები თამაშის წესების დარღვევას სიგნალიზირებენ.

ადებაიორმა ბურთის მიმართ ადგილობრივი დამოკიდებულება გამოამყვანა.

ლივერპულის შეძენა გადაწყვეტილი აქვს მავან შიხს, რომელსაც გრძელი სახელი და გვარი აქვს და სიმართლე რომ ვთქვა, არ მახსოვს. არცაა სავალდებულო, ყველას პირზე ეკეროს მისი სახელი.

მარსელო ბიელსას თამაშის ცქერის საკუთარი მანერა აქვს.

პირველი ტაიმი დამთავრდა; მგონი საკმარისია 45-წუთიანი გაკვეთილისთვის.

ლია გომონია

ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

P. S. ერთმა მოსწავლემ გაკვეთილის მსვლელობისას წამოიძახა: „მალე ქართული ენა წითელ წიგნში შესატანი გახდება“. კლასი ახმაურდა, მოსწავლეს ვთხოვე თავისი აზრი წერილობით გამმოეცა. აი, ისიც: „მალეზიანებს უცხოენოვანი წარწერები, რომლებიც მოფენილია ქუჩა. უცხოელები უფრო პატივით ეპყრობიან თავიანთ ენას, ვიდრე ჩვენ, ქართველები, რადგან, როგორც ერთ-ერთ წიგნში წავიკითხე, იაპონიის არაერთ ფირმაში თურმე სპეციალური საშტატო თანამდებობაც არსებობს საქმიან ქალაქებში ენის სინმინდის დასაცავად და ეს თანამდებობა საკმაოდ პრესტიჟული და საპასუხისმგებლო ყოფილა. ჩვენი თაობის ყველაზე პოპულარულმა და საყვარელმა მწერალმა ოტია იოსელიანმა კი ბრძანა: „საქართველოში ყველაფერი გაიყიდა, ენისა და კულტურის მყიდველი კი არ ჩანს. არ სჭირდებათ, ბატონებო, ფულიანებს შენი „მთაწმინდის მთვარე“ და „უსახელო უფლისციხე“. ჩვენ კი მოვიშველიებთ ჩრდილო-ამერიკის ერთ-ერთი ინდიელი ტომის ბელადის გამონათქვამს: „როდესაც მოინამლება ყველა მდინარე და დაიხოცება ყველა თევზი, როდესაც გაჩეხავენ ყველა ტყეს და აღარ დარჩება არც ერთი ხე, მაშინ მივხვდებით, რომ ფული არ იქმნება“.

გამოყენებული ლიტერატურა: ბოჯგუა 1999: ბოჯგუა გივი, სწორად ვამბობთ თუ ვწერთ!, თბილისი, 1999.

ტაბიძე 2005: ტაბიძე მანანა, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2001.

ციბახაშვილი 2002: ციბახაშვილი გიორგი, ენა შემკული და ხელყოფილი, თბილისი, 2002.

სვანიძე 2010: სვანიძე ქეთევან, სამეცნიერო ურთიერთობა, როგორც ენობრივი ეტიკეტის ფორმა, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, თბილისი, 2010, №11.

ინფორმაცია

სტიპენდიანტები გამოვლინდნენ

ფონდმა „გურული დღეობები“ (პრეზიდენტი – გიორგი კეკელიძე), მორიგ სხდომაზე, წარჩინებული მოსწავლეები გამოავლინა და დაუნიშნა მათ სტიპენდიები. სტიპენდიანტები, ერთი წლის განმავლობაში, ყოველ თვე 100 ლარს მიიღებენ.

მარი პირინიძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის მე-3 კურსის სტუდენტი. გოგონა კარაღითადაც, რომელმაც ოკუპაციის ხაზთან მდებარე არაერთ სოფელში მოაწყო ბიბლიოთეკა, მათ შორის ბების სახლშიც კი, და აღნიშნულ ტერიტორიაზე აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა.

ნია ლომიძე – 165-ე სკოლის სკოლის უფროსკლასელი, ჩამოყალიბებული პროზაიკოსი, რომელიც არაჩვეულებრივ მოთხრობებს წერს.

კატო არჩვაძე – 35-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.

ნავე, შესანიშნავი ფერმწერი. მიუხედავად მცირე ასაკისა, არაერთი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენის მონაწილეა. სპეციალისტები აღფრთოვანებული არიან მისი დახვეწილი გემოვნებით და ფერთა შეხამების ოსტატობით. კატო სპორტშიც (ფარიკაობა) ისევე წარმატებულია, როგორც სწავლაში. 12 წლის კატომ ფონდშიც დაამყარა რეკორდი და ყველაზე უმცროსი ასაკის სტიპენდიანტი გახდა.

სულ ახლახან, კატო არჩვაძის მორიგი პერსონალური გამოფენა გაიმართა პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში, სადაც, პარალელურად, თემურ ჩალაბაშვილის პოეზიის საღამო მიმდინარეობდა. ასე რომ, ხელოვნების მოყვარულები ორმაგად ნასიამოვნები დარჩნენ.

რევაზ თოფურია



სპორტი

ახალი სტანდარტი სკოლებისთვის

ამ დღეებში, საქართველოს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სასწავლო უნივერსიტეტში, სპორტის პედაგოგთა მორიგი ტრენინგ-სემინარი დაიწყო, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება, სამუშაო შეხვედრები კი კვირაში სამი დღის განმავლობაში მოეწყობა – პარასკევიდან კვირის ჩათვლით. მისი მიზანია, უკვე წლებულსე, გადამზადდეს 750 სპორტის მასწავლებელი თბილისიდან, შიდა ქართლიდან და მცხეთა-მთიანეთიდან, თუმცა ეს პროცესი გაისადაც გაგრძელდება, უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით. იგი ითვალისწინებს სკოლების ეტაპობრივად გადასვლას ახალ სტანდარტზე, რომელიც შემუშავების პროცესშია და დასასრულს უახლოვდება. აღნიშნული სემინარის თემატიკა მრავალმხრივია: ცალკეული კონკრეტული სახეობების ტექნიკური ელემენტების შესწავლა, ოლიმპიზმი, სპორტის ფსიქოლოგია, პიგიენა და სხვ. ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებული თემები, მაგრამ სპორტ-სემინარის ყველა აუცილებელი და საჭირო. პედაგოგებს სწორედ ამაზე უტარდებათ თეორიულ-პრაქტიკული სემინარები, როგორ ასწავლონ ეს ყველაფერი ბავშვებს, როგორ მიაჩვიონ ისინი ელემენტარულ ჩვევებს, თან თვითონაც აიმალონ ცოდნა ამ სფეროში. როგორ შეძლებენ ამას და რამდენად წარმატებით, ეს უკვე სემინარის ბოლოს საგანგებოდ შეფასდება. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში რეფორმები რომ უწყვეტად მიმდინარეობს, არაახალია. გამონაკლისი არც სპორტი, რომელიც ისევ ძიების პროცესშია და ცდილობს ოპტიმალური მოდელის პოვნას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან, სპორტის სამინისტროსთან, იმავე სპორტის უნივერსიტეტსა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან ერთად, ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ჩაატარა მსგავსი თეორიულ-პრაქტიკული სემინარი, მერე კი საგანგებო კომისია ადგილზე გაეცნო, რამდენად ასრულებდნენ ისინი ამას ყოველდღიურ პრაქტიკაში. სწორედ ამ პრაქტიკულ გამოცდილებას და სამუშაო პროცესში გამოთქმულ შენიშვნა-მოსახრებებს თუ დანახულ ხარვეზებს ეყრდნობა ახალი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, სპორტის სახეობები დაიყო სამი კატეგორიად: გუნდური (ფეხბურთი, კალათ-

ბურთი, ხელბურთი, რაგბი, ფრენბურთი), ინდივიდუალური (მძლეოსნობა, ტანვარჯიშული სახეობები) და ორთაბრძოლები, რომელშიც ერთიანდება ყველა ტიპის საჭიდაო სახეობა (ქართული ჭიდაობა, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული, ძიუდო, სამბო, სუმო, თუმცა ყველა მათგანი არცაა სკოლებში, კრივი, კარატე და სხვ.), ოლიმპად ახალი სტანდარტით საბრძოლო სახეობები არასავალდებულოა.

ახალი სტანდარტი მეორე საფეხურის – VII-IX კლასებისთვის – პრაქტიკულად, უკვე შემუშავებული და გამოცდილია. მისი რეალურ ცხოვრებაში გამოცდაც დაიწყო და საპილოტე პროგრამაც ამოქმედდა. საამისოდ შეირჩა თბილისის 17 სკოლა, სადაც მე-7 კლასებში სწორედ ამ ახალი სტანდარტით ტარდება სპორტის გაკვეთილები.

მათ, ცალკეული თემების მიხედვით, შესთავაზეს კონკრეტული სპორტული და საგანმანათლებლო პროექტები, რასაც უკვე თავად სკოლა ირჩევს და მერე ამ ფარგლებში თვითონ მუშაობს. მაგალითად, დეკემბერში თუ ფეხბურთს აირჩევენ, ცალკეულ გაკვეთილებზე ასწავლიან ისეთ მარტივ ტექნიკურ ელემენტებს, როგორიცაა: ბურთის მიღება, გაჩერება, გადართობა და სხვ. თვის ბოლოს ჩატარდება შეჯიბრება, სადაც პრაქტიკულად შეამოწმებენ, რა ისწავლეს მოსწავლეებმა. შემოდის მასწავლებლის შეფასების სისტემა, რაშიც აისახება მასწავლებლის შრომა. თავის მხრივ, ეს კრედიტ-ქულების მიღებაშიც წაადგებათ, რაც მათ ხელფასზეც აისახება, ანუ მასწავლებელს უჩნდება მოტივაცია, დაინტერესება. მართალია, სამინისტრო გარკვეულ გეგმას სთავაზობს, მაგრამ სკოლები სახეობების არჩევანში თავისუფალი არიან, კატეგორიულ შეზღუდვებს არ უწყობს მათ, არ აქცევენ ჩარჩოებში. სამინისტრო მხოლოდ ერთადერთ რეკომენდაციას აძლევს ამ საპილოტე სკოლებს, რომ მათში, როცა ბუნებრივად თბილა და ბავშვების ღია მოედნებზე გაყვანა საშიში აღარაა, ყველამ აირჩიოს მძლეოსნობა.

საგანმანათლებლო პროექტი 4 ასპექტს მოიცავს: ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი მიტანა მოსწავლეებამდე, ოლიმპიზმი, ექსკურსია და ლაშქრობა. მაგალითად, განუმარტონ მოსწავლეებს, რას მოიცავს ტერმინი „ცხოვრების ჯან-



სალი წესი“ ან როგორ მიიტანონ ის მოსწავლეებამდე, როგორ ჩააბან მასში და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვებს გააცნონ ქართული ოლიმპიზმის მართლაც მდიდარი ისტორია. ექსკურსიას, ლაშქრობას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის, მოზარდის ცხოვრებაში როგორც შემეცნებით-საგანმანათლებლო, ასევე ჯანმრთელობის კუთხით. თან ესეც ხომ ჯანსაღი ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილია. და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: 17-ვე სკოლაში სასწავლო დღე დილის გამამხნეველი ვარჯიშებით იწყება...

ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება ამ პროცესის მონიტორინგის საკითხი, რათა ეს ყველაფერი ცხოვრებაში გატარდეს და ქალაქზე არ დარჩეს, თორემ ამ ქვეყანაში რაც ქალაქზე იწერება, ნახევარზე რომ სრულდებოდეს, რაღა გვიჭირდა... მონიტორინგისთვის განზრახულია სპორტული კლუბების შექმნა, რომელშიც შევლენ მოსწავლეთა თვითმმართველობების, სკოლის დირექციის წარმომადგენლები, კლასის ხელმძღვანელები, ანუ ფართო სექტორი ანარმობებს დანერგვით აღწერას, რა სრულდება და რა – არა. გარკვეული დაინტერესება კლუბებისთვისაცაა განზრახული – თავისუფალი გაკვეთილების ხარჯზე გაზრდით თავიანთი ბიუჯეტი, რომ შეძლონ სპორტულ შეჯიბრებებში წარმატებულთათვის მედლების, დიპლომების, სიგელების შექმნა. ეს ბავშვებისთვისაც სტიმული იქნება.

ახალი სტანდარტის მიზანია ფიზიკური აქტივობისთვის საჭირო თვისებების განვითარება ბავშვებში, აგრეთვე – ტექნიკური ელემენტების შესწავლა სპორტის კონკრეტულ სახეობებში, თუმცა ის ხელს არ უშლის ძველ სტანდარტებს. რეფორმის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა ისიც, რომ სკოლებს არ ავალდებულებს 3 სახეობის არჩევას. მოგეხსენებათ, ძველი სტანდარტით, განსაზღვრული იყო 26 სახეობა, აქედან სკოლებს, სავალდებულო სასწავლო საგნად, 3 უნდა აერჩიათ.

ვიმეორებთ, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ პროექტზე, ისიც – მეორე საფეხურზე და თან მხოლოდ 17 სკოლის VII კლასებზე. პირველ საფეხურზე, ანუ I-VI კლასებისთვის ახალი სტანდარტი უკვე მიიღეს, თუმცა იქ მოთხოვნები შედარებით მარტივია – ძირითადი ფიზიკური თვისებების განვითარება (მაგალითად, სიჩქარე, კოორდინაცია და ა.შ.). რაც შეეხება მესამე საფეხურს – X-XII კლასებს, იქ რეფორმა, ჯერჯერობით, მომავლის საქმეა.



მედლები სომხეთიდან

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრებმა, რომელიც მომავალი სეზონისთვის ემზადება, ბოლო შაბათ-კვირას წარმატებით იასპარეზა სომხეთის საერთაშორისო ტურნირში. ამ გუნდს, საკმაოდ წარმატებული წლებიდან სეზონის შემდეგ, თაობათა ცვლა (რაც აგრეთვე მტკივნეულია ასაკობრივი ნაკრებებისთვის) დიდად არ ემუქრება – მონაწილეთა უმრავლესობა გაისადაც დარჩება, მაგრამ შემონახვა, ახალი კადრების მოძიება, სატურნირო პრაქტიკა მაინც ჰკარგავს სჭირდებათ. ამ მხრივ, მეზობელი ქვეყნების შეჯიბრებები მისწრებაა, რადგან იქ წასვლა იაფი უჯდებათ, წლის ბოლოს კი, სპორტულ ფედერაციებს ბიუჯეტი, როგორც წესი, ათვისებული აქვთ და შეჯიბრებების დაფინანსება უჭირთ. ამიტომ „სამეზობლო შეჯიბრებები“ ყოველმხრივ მისაღებია და ამ შანსს სრულად იყენებენ ხოლმე.

ერევანში ამჯერად რუდოლფ და ეგივ კარაპეტიალების



სახელობის შეჯიბრებას უმასპინძლა, რომელშიც მასპინძელთა გაფართოებული შემადგენლობის გარდა, ჩვენი, რუსეთისა და ირანის ამავე ასაკის გუნდებიც მონაწილეობდნენ. **გია კვიციანი**ს შეგირდებმა ერევანში 11 მედალი დაისაკუთრეს: 4 ოქრო, ამდენივე ბრინჯაო და 3 ვერცხლი. ორ წონაში ქართული ფინალი გაიმართა: 51-ში ერთმანეთს ჭაბუკებში ევროპის წლებიდან ჩემპიონი **გიორგი გეგელაშვილი** და **ნიკა ბერუაშვილი** შეხვდნენ, გამარჯვება უფრო გამოცდილმა გეგელაშვილმა მოიპოვა; 80 კილოგრამის ფინალში **გიორგი ჩანქსელიანი** და **გიორგი ნებურიშვილი** გავიდნენ, ოქროს მედალი ჩანქსელიანმა ირგუნა. ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე: **დავით აბდალაძე** (55) და **სოლომონ მანაშვილი** (100). ჩვენს გუნდს მესამე ვერცხლი **ლუკა მარიაშიძემ** (71) მოუტანა, ბრინჯაოს პრიზიორები კი **ლევან მიქელაძე** (48), **გიორგი გელაშვილი** (63), **ბაგრატ გაგნიძე** (71) და **ნიკოლოზ ბარაბაძე** (100) გახდნენ.

რატული კონკურენცია

თბილისში, ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში, გაიმართა „ოლიმპიური ცენტრის ღია პირველობა“, რომელშიც 2003-2005 წლებში დაბადებული თავისუფალი სტილით მოჭიდავე მოზარდები მონაწილეობდნენ.

ტურნირში საკმაოდ კარგად გამოვიდნენ რატული, საიდანაც ონისა და ამბროლაურის გუნდებთან ერთად, სოფელ ჭრებალოს გუნდიც იყო ჩამოსული, ხელცარიელიც არ დარჩენილან – 41 კილოგრამში **ნიკოლოზ სანთელაძე** ჩემპიონიც გახდა, რაც კარგი სტიმული იქნება მისთვისაც და ამ სოფლის სხვა ახალგაზრდებისთვისაც. თუმცა, ჭრებალოელებს საჭიდაო ტრადიციები ისედაც აქვთ – ამ სოფლიდან არიან ძმები **ნიკა და ავთანდილ კენჭაძეები**.

ტურნირში კიდევ ერთი სოფლის – გამარჯვების წარმომადგენელმა გაიმარჯვა: 75-ში **მიხეილ კალაფიშვილი** აჯობა ყველას. ბოლო დროს ტრადიციად იქცა სოფლის გუნდების მონაწილეობა დიდ შეჯიბრებებში, რაც დადებითი ფაქტია, რადგან იზრდება კონკურენცია. ასეთ პირობებში სოფლის ახალგაზრდებს აღარ უნევთ რაიონის ნაკრებებში მოსახვედ-



რად ბრძოლა, პირდაპირ გადიან დიდ არენაზე, ანუ ხვდებიან სპეციალისტთა თვალთახედვის არეში, რაც ხშირად გადამწყვეტი ნიუანსია.

როგორც გითხარით, ტურნირში რატულიები წარმატებით გამოვიდნენ, მათ არა მარტო სხვებთან, ერთმანეთშიც საინტერესო კონკურენცია გააჩაღეს. საკმარისია ითქვას, რომ სამ წონაში რატული ფინალი გაიმართა – ონელები და ამბროლაურელები შეხვდნენ ერთმანეთს. საინტერესოა, რომ სამივე შემთხვევაში ონელებმა იმარჯვეს: უმჩატეს – 38 კილოგრამში **ლუკა გუგუშაშვილი** და **საბა კობახიძე** სძლია, 44-ში **თორნიკე ჯოხაძემ** **გიორგი გოგრიჭიანი** დაამარცხა, 63-ში კი **თორნიკე სამხარაძემ** **ვანო გაგუას** მოუგო.

ონელებს მსგავსად, სამი ოქრო მოიპოვა საგარეჯოს გუნდმა: **გიორგი ტულაშვილი** (48), **გიგი ქურხულმა** (52) და **დავით კუჭუაშვილი** (67). თითო მედალი ერგოთ ყვარელს და გორს. კახელთაგან ეს **მირზა გაფიევა** (57) შეძლო, რომელიც ამავე ცენტრის მოსწავლეა, შიდა ქართლეთთან კი ჩემპიონი **ბესიკ ბასიშვილი** (85) გახდა.

სამაგიდე თამაშების მრავალფეროვანი კატეგორიები I-VI კლასებისათვის

ნებისანი, სამაგიდე თამაშების მრავალი ანოდა: შეუქმნეს ბავშვის პოზიტიური განწყობა სწავლისათვის, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური და საზოგადოებრივი უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაში ჩართულ მოსწავლეს უნდა: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დაგეგმვა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანაგრძობლობა, წარმოდგენა/ვარაუდობა, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკული გადმოტანა, განხილვა/შეფასება. თამაში ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამოყენებული მეთოდების შესაბამისად არის შექმნილი.



- რომელი საათია - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- ჩრდილები - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მოსატყუარ სხოვლებების ანგარიში - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- სხვადასხვა სიტყვების - 8 ლარი** (ჯგუფური თამაში);
- შეგრძნობები - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მხიარული სინარქცია - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მხიარული წილადები - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- დავეხმაროთ რისხვებს - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- გავხსნათ მთელი სტრუქტურა - 23 ლარი** (ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
- ფარული მოხიარვა - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში).

სასწავლო პროგრამები
ნიმუში მოთხოვნი ნივთიერება დასაბუთება და განხილვა. გაეცნოს სხვადასხვა საგნობრივი უნარების სასწავლო პროგრამებს. უნდა იცნოს სტრუქტურა და განხილვის რეგულაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასლის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროგრამა ამ თუ იმ საგნის.

პროფესიული უნარები
დასაბუთება სასწავლო პროგრამის განხილვის უნარების განხილვისათვის.
15 ლარი

ქართული I-VI კლასები
ნიმუში შექმნილი სასწავლო პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დასაბუთება I-VI კლასების სასწავლო გეგმის განხილვისათვის.
11 ლარი

მასწავლებლის საშუალო რეპერტუარი
4 ლარი

ინოვაციური გაკეთებები დაწყებით კლასებში
6.50 ლარი

ინტერაქტიული მეთოდების კრებული
6 ლარი

კათედრის გაგების პროგრამა
6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი 2017
5.50 ლარი

სწავლის დაწყების კვალი
14 ლარი

ნაწილი და მომონი ანგარიში

სადა შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „მომონის საათი“ სპეციალური გათვალისწინებით.



საღირსი ფასი - 32.40 ლ

ქართული ენის კრებული

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და საგარეო მოთხოვნები.



საღირსი ფასი 17.70 ლ

მოქალაქეობითი საბუნებისმეტყველო სასწავლო პროგრამის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასახვევი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიცვანთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცემის მფლობელის ოფიციალურ ვებ-გვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიქმნა ჩაბარების როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.



თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

განახლებული გამოცემა

ტირაჟი დროებით ამოწურულა

თამაზ ვასაძე კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური განმარტებები 12 ლარი

ფიზიკა საატესტატო გამოცდისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაძე 10 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე 10 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული) 10 ლარი

თამაზ ვასაძე ქართული აგროგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის 4 ლარი

გიოლოგია (II ნაწილი) ეროვნული გამოცდისთვის ლ. ბურღიანი, ნ. სინარქცია, ქ. მალაქაძე, დ. ნაჩირაშვილი 10 ლარი

ისტორია 9 ლარი

ნიმუში
ნიმუში I V-XVIII საუკუნეების მხარდაჭერა
ნიმუში II XIX საუკუნის მხარდაჭერა
ნიმუში III XX საუკუნის მხარდაჭერა

თითო ტომის ფასი - 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირისხეთ რეკვიზიტებზე:
 მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
 შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით: 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23